

ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს

სხდომის ოქმი N13

თბილისი, 4 აგვისტო 2022

ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **ნინო ქიმერიძე** - გერმანული ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გერმანული ფილოლოგიის მიმართულებით; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **თამარ შიოშვილი** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი. **საბჭოს მდივანი;**
3. **თეონა ბერიძე** - გერმანული ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი გერმანული ენის მიმართულებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - **საბჭოს წევრი;**
4. **ნინო მატარაძე** - ინგლისური ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ანგლისტიკა-ამერიკანისტიკის მიმართულებით - **საბჭოს წევრი;**
5. **ლევან ცაგარელი** - გერმანული ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი - **საბჭოს წევრი;**
6. **მანანა რუსიუშვილი** - ინგლისური ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი; ინგლისური ფილოლოგიის კათედრის გამგე; ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი; ინგლისური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი;**
7. **კატერინე გაჩეჩილაძე** - ფრანგული ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი;**
8. **ქეთო გალობერი** - ფრანგული ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფრანგული ფილოლოგიის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი;**
9. **მაკა კაჭარავა** - სლავური ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსი, სლავური ფილოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი;**

10. **მარინე აროშიძე** - სლავური ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, 3 საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი;**
11. **მარინე ჩაჩიბაია** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრის გამგე - **საბჭოს წევრი;**
12. **ალექსანდრე ჭულუხაძე** - სპარსული ფილოლოგიის დოქტორი, შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი;**
13. **თამარ მოსიაშვილი** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწე (უცხოურ სამეცნიერო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიმართულებით) - **საბჭოს წევრი;**
14. **დარეჯან გარდავაძე** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არაბისტიკის კათედრის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - **საბჭოს წევრი;**
15. **მარინე გიორგაძე** - კლასიკური ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, **საბჭოს წევრი;**
16. **მარინე კობეშავიძე** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დასავლეთევროპული ფილოლოგიის მიმართულებით (რომანული ფილოლოგია-ესპანური ენა - **საბჭოს წევრი;**
17. **მაია ჯავახიძე** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დასავლეთევროპული ფილოლოგიის მიმართულებით (რომანული ფილოლოგია-იტალიური ენა) - **საბჭოს წევრი;**
18. **თათია მემარნიშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის იაპონური ენის მასწავლებელი - **საბჭოს წევრი;**
19. **ანა გოგუაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის ჩინური ენის მასწავლებელი - **საბჭოს წევრი;**
20. **ხათუნა ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ინგლისური ენის მიმართულებით - **საბჭოს წევრი;**

2021 წლის 10 დეკემბერს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N 1353910 ბრძანებით დამტკიცებული ლექსიკოგრაფიის უმაღლესი განათლების დარგობრივი სამუშაო ჯგუფის წევრები:

1. **თინათინ მარგალიტაძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლექსიკოგრაფიის მიმართულებით, ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორი, **სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;**
2. **ნინო ქიმერიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი, განათლებისა და პროგრამული აკრედიტაციის ექსპერტი, **სამუშაო ჯგუფის წევრი;**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

- **ნინო გოგლიჩიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის კოორდინატორი;
- **ხატია ბერიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის სპეციალისტი.

დაინტერესებული მხარეები:

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:15 სთ-ზე.

კვალიფიკაციების სამსახურის კოორდინატორი ნინო გოგლიჩიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 34 წევრიდან ესწრებოდა საბჭოს 20 წევრი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ქიმერიძემ წარადგინა დღის წესრიგი: ლექსიკოგრაფიისა და ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შესახებ საბჭოს წევრთა წინადადებების განხილვა. აღნიშნული დოკუმენტების ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენის კენჭისყრა.

მოისმინეს

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ქიმერიძემ მიმართა საბჭოს წევრებს ლექსიკოგრაფიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შესახებ ხომ არ ჰქონდათ წინადადებები დოკუმენტის გაუმჯობესების მიზნით. საბჭოს წევრებს აღნიშნული დარგობრივი მახასიათებლის შესახებ არ გამოუთქვამთ შენიშვნები და წინადადებები.

შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ქიმერიძემ მიმართა საბჭოს კენჭი ეყარათ ლექსიკოგრაფიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენისთვის დადებითი რეკომენდაციის გაცემის საკითხზე, დათქმით, რომ დოკუმენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დაადგინეს

საბჭოს დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ლექსიკოგრაფიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენას დათქმით, რომ დოკუმენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლექსიკოგრაფიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის საბჭოს მიერ ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი პროექტი ჩამოყალიბდეს ამ ოქმის დანართი N1-ის შესაბამისად

მოისმინეს

საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს კიდევ ერთხელ სთხოვა დოკუმენტში ლექსიკოგრაფიის დარგობრივი მახასიათებლით დაფარული საკითხებზე ყურადღების გამახვილება, რამდენადაც წინა სხდომაზე საბჭო მიზანშეწონილად სცნო ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლიდან ლექსიკოგრაფიასთან დაკავშირებული რიგი საკითხების ამოღება რომელიც გადავა ლექსიკოგრაფიის სფეროში, ხომ არ დარჩა ისეთი ჩანაწერი რომელიც საჭიროებს მოდიფიცირებას ან ამოსაღებია რადგან შევა ლექსიკოგრაფიის დარგობრივი მახასიათებლის რეგულირების სფეროში.

დაადგინეს

საბჭომ გაიზიარა ნინო ქიმერიძის წინადადება და სწავლის სფეროს აღწერის მე-7 აბზაციდან „ფილოლოგიური და ქვეყნის/რეგიონის ენობრივ-კულტურულ-ისტორიული ასპექტებით შემსწავლელი დარგების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ხორციელდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონეებზე, ხოლო ლექსიკოგრაფიისა და თარგმანმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამების - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეზე“. ამოღებულ იქნა სიტყვა „ლექსიკოგრაფიის“.

მოისმინეს

ცენტრის წარმომადგენლის, ნინო გოგლიჩიძის რეკომენდაცია საბჭოს მე-11 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებისამებრ შემდეგი დეტალური სფეროების დასახელების:

- 0231.1.7 ესპანური ფილოლოგია Spanish Philology

- 0231.1.8 იტალიური ფილოლოგია Italian Philology

შემდეგნარად მოდიფიცირებასთან დაკავშირებით

- 0231.1.7 ესპანური ფილოლოგია/ესპანისტიკა Spanish Philology/ Spanish Studies;

- 0231.1.8 იტალიური ფილოლოგია/იტალიანისტიკა/ Italian Philology/ Italian Studie

ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელში დამატებულ ტექსტზე: „ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით (28.07.22) იტალიური ფილოლოგიისა და ესპანური ფილოლოგიის სწავლის სფეროების დასახელება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: 0231.1.7 ესპანური ფილოლოგია/ესპანისტიკა /Spanish Philology/ Spanish Studies; 0231.1.8 იტალიური ფილოლოგია/იტალიანისტიკა/ Italian Philology/ Italian Studies. რადგან საქართველოში შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამები ესპანისტიკისა და იტალიანისტიკის მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც შემსწავლელს შეუძლია ფართო სპექტრით დაინახოს ქვეყნის ენობრივ, ისტორიულ - კულტურული ასპექტები“. შესაბამისი დასაბუთების დამატებასთან დაკავშირებით. საკითხზე მოსაზრებები გამოთქვეს ნინო ქიმერიძემ, მაია გაჩეჩილაძემ, თამარ შიოშვილმა, ნინო მატარაძემ, დარეჯან გარდავაძემ, მაია გაჩეჩილაძემ, მარინე აროშიძემ და მარინე გიორგაძემ.

ნინო ქიმერიძის შემოთავაზებით აღნიშნულ ჩანაწერს უნდა დაემატოს შემდეგი ფორმულირება: აღსანიშნავია, რომ ესპანურ და იტალიურ ფილოლოგიას არ აქვს ქვეყანაში ფილოლოგიური სწავლებისა და კვლევის ხანგრძლივი ტრადიცია, შესაბამისად მიზანშეწონილია ენობრივ კომპეტენციასთან ერთად ისწავლებოდეს ისტორიულ კულტურული ასპექტებითაც. აღნიშნულს დაეთანხმა მაია გაჩეჩილაძეც მისი თქმით აღნიშნული ჩანაწერი არაფერს გააფუჭებს და გამოდგება დამატებით დასაბუთებად. აღნიშნული ფორმულირებით დასაბუთება მიზანშეწონილად არ მიიჩნია მარინე აროშიძემ, მისი თქმით ამ ჩანაწერით საბჭო ხაზს გაუსვამს შესაბამის სფეროებში ქვეყანაში არსებული დაწესებულებების ბაზაზე სწავლებისა და კვლევის უმწიფარობას და ფორმულირება დადებითი კონოტაციით უნდა იყოს მოცემული, ამავე ჩანაწერით გამოდის რომ შესაბამისი ენების ფილოლოგია რომელიც უფრო ვიწრო სფეროა, თუ მისი სწავლებისა და კვლევის ტრადიცია არ არსებობს ისტორიულ კულტურული ასპექტები ხომ გაცილებით აფართოებს შესწავლის არეალს, და აქ როგორღა იარსებებს, ამიტომ აჯობებს დადებითი კონოტაციით ჩამოყალიბდეს. მარინე აროშიძეს დაეთანხმა ნინო მატარაძე და მარინა გიორგაძეც.

ნინო ქიმერიძის განმარტებით პირიქით, ფართო კონტექსტით ესწავლა იძლევა საშუალებას რომ ფილოლოგიისა და მის კონკრეტულ ქვე-სფეროებზე შემუშავდეს კვლევები და ამ მიმართულებით დაგროვდეს გარკვეული გამოცდილება, მით უფო თუ ამ ენების სწავლება სასკოლო საფეხურზეც დაიწყება ეს ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების საფეხურზე მოცემული სფეროების სწავლებისა და კვლევების განვითარებას.

ნინო მატარაძის თქმით იგი ხედავს რისკებს იგივე ანგლისტიკის პროგრამისთვის რომელიც ინგლისურ ფილოლოგიაში ანიჭებს კვალიფიკაციას, ამგვარი ჩანაწერი რომ არ გავრცელდება ყველა პროგრამაზე, რადგან წმინდად ფილოლოგიური ასპექტებით ენის შემსწავლელ პროგრამებზე გვხვდება საკითხები ამ ენების გავრცელების არეალის გეოგრაფიიდან, ისტორიიდან და

კულტურიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით ნინო ქიმერიძემ განმარტა, რომ ენის ფილოლოგიური ასპექტებით შემსწავლელი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებშიც არსებობს აუცილებლობა ისტორიულ კულტურულ ასპექტებზე ყურადღების გამახვილებისთვის, თუმცა ხვედრით წილს თუ რა მიმართულებით წარიმართება პროგრამა და რა მოცულობით იქნება წარმოდგენილი ისტორიული და კულტურული ასპექტები თავად პროგრამის სპეციფიკისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე გადაწყვეტს დაწესებულება.

დაადგინეს

ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში დამატებული ჩანაწერი ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

„ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით (28.07.2022) იტალიური ფილოლოგიისა და ესპანური ფილოლოგიის სწავლის სფეროების დასახელება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

- 0231.1.7 ესპანური ფილოლოგია/ესპანისტიკა /Spanish Philology/ Spanish Studies;
- 0231.1.8 იტალიური ფილოლოგია/იტალიანისტიკა/ Italian Philology/ Italian Studies.

წარმოდგენილი ცვლილება გულისხმობს ესპანური ფილოლოგიისა და იტალიური ფილოლოგიის პროგრამებში ფილოლოგიური პროფილის გაფართოებას ამ ენების გავრცელების რეგიონის ისტორიულ-კულტურული ასპექტებით.

შესაბამისად საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში შემუშავდა ესპანისტიკისა და იტალიანისტიკის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა ფარგლებშიც შემსწავლელს შეუძლია გაეცნოს როგორც ქვეყნის ენობრივ, ისე ისტორიულ და კულტურულ ასპექტებს.“

მოისმინეს

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ქიმერიძემ კენჭისყრაზე დააყენა ენის დაუფლების განახლებული დარგობრივი მახასიათებლის ცენტრის დოქტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენის საკითხი დათქმით, რომ განახლებული დარგობრივი მახასიათებელი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დაადგინეს

საბჭოს დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ენის დაუფლების განახლებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენას დათქმით, რომ დოკუმენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ენის დაუფლების განახლებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის საბჭოს მიერ ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი პროექტი ჩამოყალიბდეს ამ ოქმის დანართი N2-ის შესაბამისად

სხდომა დასრულდა 17:00 -ზე.

საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქიმერიძე



საბჭოს მდივანი

თამარ შიოშვილი



დანართი N 1

ლექსიკოგრაფიის დარგობრივი მახასიათებელი
უმალესი განათლების მეორე საფეხური
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონე

I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც ეფუძნება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პრაქტიკასა და საკანონმდებლო მოთხოვნებს, და ლექსიკოგრაფიის დეტალური სფეროს სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მიდგომებს.

ლექსიკოგრაფიის დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, სტუდენტთა მობილობას, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებასა და დასაქმებას, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას.

ლექსიკოგრაფიის დარგობრივ მახასიათებელში აღწერილია ის ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რომლებსაც შეიძენს/გამოიმუშავებს სტუდენტი ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელია.

ინგლისურ ენაზე დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა Subject benchmark statement of Lexicography.

წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელს უნდა იცნობდეს პირი, თუ იგი მონაწილეობს ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ან საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შემუშავებაში, განხორციელებაში და განხილვაში.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომელთაც სურთ შეისწავლონ ლექსიკოგრაფია და აინტერესებთ რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენენ ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ;
- უცხოელი სტუდენტებისათვის, რომელთაც გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში განზრახული აქვთ, სწავლა განაგრძონ ლექსიკოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამებზე (იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხოურ ენაზე);
- დამსაქმებელთათვის, რომელთაც სურთ ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება და დაინტერესებულები არიან აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებით;
- განათლების სფეროს ექსპერტთათვის, რომლებსაც პერიოდულად ევალებათ ლექსიკოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, მონიტორინგი ან აკრედიტაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა;
- აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და აპელაციის საბჭოს წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- იმ პირთათვის რომლებიც ჩართულნი არიან ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განხორციელების პროცესში რომლებიც მისანიჭებელ კვალიფიკაციად ირჩევენ 0231.2.1. ლექსიკოგრაფიას.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი უნდა დაიცვას ყველა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, სადაც ხორციელდება ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ამასთან, ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი (სწავლის შედეგების ჩათვლით), ასევე, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დარგობრივ მახასიათებელთან ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს პერიოდულად, მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტებისა და შესაბამისი პროცედურების საფუძველზე.

II. სწავლის სფეროს აღწერა

ლექსიკოგრაფია არის მეცნიერების დარგი, რომელიც ქმნის ლექსიკონებს და ამუშავებს მათ შედგენასთან დაკავშირებულ მრავალ სამეცნიერო პრობლემასა თუ საკითხს. ერთი მხრივ, ლექსიკოგრაფია დაკავშირებულია პრაქტიკულ საქმიანობასთან (პრაქტიკული ლექსიკოგრაფია), რომელიც ადგენს სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებს: განმარტებითს, თარგმნითს, შეპირისპირებითს, ტერმინოლოგიურს, სასწავლოს, ინტერმოდალურს, ენციკლოპედიურს, ეტიმოლოგიურს და სხვ. მეორე მხრივ კი თეორიული ლექსიკოგრაფია შეისწავლის ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: თეორიები, რომლებიც საფუძვლად უდევს ლექსიკონების შექმნას, კერძოდ, ლექსიკური სემანტიკის თეორიები, სემანტიკური კვლევის მეთოდები, კომპიუტერული ლექსიკოგრაფიისა და კორპუსული ლინგვისტიკის მეთოდების ჩათვლით; ბუნებრივი ენის დამუშავების მეთოდები და თეორიები და სხვა; ლექსიკოგრაფიის ისტორია; ლექსიკონების მომხმარებელთა კვლევა; სხვადასხვა ტიპის ლექსიკონისთვის წყაროების მოძიების, მონაცემთა შეკრებისა და დამუშავების და სხვა საკითხები.

ლექსიკოგრაფიის სწავლის სფერო შესაბამისი პროგრამებით სტუდენტს უვითარებს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, უყალიბებს საჭირო დარგობრივ და ტრანსფერულ კომპეტენციებს; ხელს უწყობს ლექსიკოგრაფიული სამუშაოს ინტერდისციპლინური ხასიათის გააზრებასა და ჩამოყალიბებას. თანამედროვე ლექსიკოგრაფია არის კომპლექსური ინტერდისციპლინური დარგი, რომელიც მოიცავს ზოგადი ენათმეცნიერების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, კომპიუტერული ლინგვისტიკის თეორიებსა და მეთოდებს, ლექსიკოგრაფიის პრაქტიკას და სხვ.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სტუდენტს მოეთხოვება მაგისტრატურის საფეხურის დასრულებისას.

დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები მოიაზრებს მინიმალურ მოთხოვნებს. ამასთან უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის უახლესი მიღწევების/გამოცდილების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე უცხოელ პარტნიორთა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკომენდაციის საფუძველზე, ბაზრის მოთხოვნებისა და სხვა ფაქტორების

გათვალისწინებით, შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის დამატებითი შედეგების განსაზღვრის თაობაზე.

სწავლის ესა თუ ის შედეგი შესაძლებელია მიღწეულ იქნეს როგორც ცალკეული, ისე სხვადასხვა საგანმანათლებლო (სასწავლო და/ან კვლევითი) კომპონენტის კომბინირებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოაყალიბოს სამ კატეგორიად (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) დაყოფის გარეშე. დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეიძლება აისახოს როგორც პროგრამის, ისე მისი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სწავლის შედეგებში.

ცოდნა და გაცნობიერება

ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

- ავლენს ღრმა და სისტემურ ლინგვისტურ ცოდნას ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული თეორიებისა და კვლევის მეთოდების შესახებ;
- წარმოაჩენს თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების (ტექსტური კორპუსები, ლექსიკონების მართვის სისტემები (DWS), მონაცემების ავტომატურად და ნახევრადავტომატურად დამუშავების პროგრამული ინსტრუმენტები და სხვ.) სისტემურ ცოდნას;
- განსაზღვრავს და აღწერს ლექსიკოგრაფიასთან დაკავშირებულ საკვანძო და აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას.

უნარი

ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

- მუშაობს თანამედროვე ლინგვისტური, ლექსიკოგრაფიული და ტექნოლოგიური სტანდარტების შესაბამისად სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებზე, ელექტრონულ კორპუსებზე და სხვ.;
- იყენებს კლასიკურ ლექსიკოგრაფიულ მეთოდებსა და თანამედროვე კომპიუტერულ და ქსელურ ტექნოლოგიებს, კრიტიკულად აანალიზებს მათ და ახდენს ამ მეთოდების სინთეზს ლექსიკოგრაფიული ამოცანების გადასაჭრელად;
- კურსდამთავრებული ავლენს ლექსიკონებისა და ტექსტური კორპუსებისთვის აუცილებელი ლინგვისტური და ტექნოლოგიური ამოცანების იდენტიფიკაციის, სწორად დაგეგმვისა და განხორციელების უნარს;

- კურსდამთავრებული ავითარებს ინოვაციურ მიდგომებს, ახალ და ორიგინალურ იდეებს, რომლებსაც აყალიბებს საკვალიფიკაციო ნაშრომში/პროექტში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

- იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებსა და ეთიკის აღიარებულ ნორმებს;
- ამჟღავნებს, პროფესიული განვითარების მიზნით, საკუთარი სწავლის პროცესისა თუ პროფესიული საქმიანობის თვითშეფასების, სწავლის საჭიროებების განსაზღვრისა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის უნარს;
- გუნდური მუშაობის პროცესში მოქმედებს თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების დაცვით;
- აღიარებს კულტურათაშორისი განსხვავებებისა და კულტურათა მრავალფეროვნების მნიშვნელობას; ამჟღავნებს ტოლერანტობას განსხვავებული აზრის, კულტურებისა და კონფესიების მიმართ.

IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

წინამდებარე სტანდარტის ფარგლებში, საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილია სწავლის, სწავლებისა და შეფასების ის მეთოდები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. სწავლის, სწავლებისა და შეფასების კონკრეტული მეთოდების შერჩევა ხდება აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გამოცდილებისა და ტრადიციის გათვალისწინებითაც. ლექსიკოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც აღნიშნული ჩამონათვალიდან შერჩეული ესა თუ ის მეთოდი, ისე სხვა მეთოდები.

ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა გულისხმობს კვლევაზე დაფუძნებულ ღრმა და სისტემურ, ინტენსიურ სასწავლო პროცესს, რაც სტუდენტს უვითარებს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარს.

აღნიშნული უნდა აისახოს სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდებში. სწავლა-სწავლების პროცესს უშუალოდ უკავშირდება შეფასება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების ხარისხისა და საბოლოოდ, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე შედეგების დადგენა. შეფასების სისტემა უნდა იყოს მრავალკომპონენტური და აფასებდეს სწავლის შედეგს იმ კრიტერიუმებით, რომელთა გაზომვა შესაძლებელია. სტუდენტის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს: ობიექტურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, სწავლების მიზნებთან, შედეგებთან და მეთოდებთან შესაბამისობას.

4.1. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევასა უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეეძლება სტუდენტს. შესაბამისად, სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უნდა უწყობდეს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი / დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებასაც.

ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, ლექსიკოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამებში, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ქვემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალიდან შერჩეული სწავლისა და სწავლების მეთოდები:

სწავლება-სწავლის მეთოდებია:

- ინტერაქციული ლექციები და სემინარები;
- ლაბორატორიული მუშაობა;
- პრაქტიკული მუშაობა (ინდივიდუალურად, წყვილში ან ჯგუფურად);
- ელექტრონული სწავლება;
- კვლევითი პროექტები;
- სავლე/სასწავლო/პროფესიული პრაქტიკა;
- და სხვ.

სწავლება-სწავლის აქტივობებია:

- თანამშრომლობითი სწავლა;
- გონებრივი იერიში;
- შემთხვევის ანალიზი;
- მასალის დამოუკიდებლად მოძიება-დამუშავება;

- ჯგუფური დისკუსია/დებატები;
- ურთიერთშეფასება;
- ტექსტური და ლექსიკოგრაფიული მასალის კომენტირება, მათი ინტერპრეტაცია და/ან ანალიზი;
- პრეზენტაცია ზეპირად და წერილობით ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- კვლევითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება;
- სტაჟირება;
- მულტიმედიური მასალების გამოყენება;
- და სხვ.

IV.2. შეფასების მეთოდები

ლექსიკოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (შუალედური და დასკვნითი შეფასება) შესაძლებელია მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ქვემოთ ჩამოთვლილთაგან შერჩეული ან სხვა მეთოდები გამოიყენოს.

შეფასების კომპონენტებია:

- ზეპირი გამოცდა;
- წერითი გამოცდა;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერითი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება;
- საშინაო ნაშრომი;
- თეორიული სამუშაო;
- პრაქტიკული სამუშაო;
- ინდივიდუალური და/ან ჯგუფური პრეზენტაცია;
- კვლევითი პროექტი;
- და სხვ.

შეფასების საშუალებებია:

- ტესტი;
- ესე;
- დემონსტრირება/ პრეზენტაცია;
- სასემინარო მოხსენება;

- რეფერატი;
- თეორიული დავალების შესრულება;
- პრაქტიკული დავალების შესრულება (მათ შორის ბეჭდური და ციფრული რესურსებისა და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით);
- დისკუსიაში/დებატში მონაწილეობა;
- გუნდური მუშაობა;
- შემთხვევის ანალიზი;
- კვლევითი პროექტი;
- ლექსიკონის რეცენზირება;
- პრაქტიკის დღიური/ანგარიში;
- საკვალიფიკაციო ნაშრომი;
- თვითშეფასება;
- ურთიერთშეფასება;
- და სხვ.

IV.3. სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება

პრაქტიკა ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია. მისი მიზანია სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება სხვადასხვა ტიპის ლექსიკონზე ან კორპუსზე სამუშაოდ.

პრაქტიკული კომპონენტის კონკრეტული მოდელი, მისი შინაარსი და ფორმა უნდა შეარჩიოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, არსებული რესურსების, ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ხედვისა და კონცეფციის შესაბამისად.

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს თეორიულ კურსებში ჩაშენებული, დამოუკიდებელი პრაქტიკული კურსის/კურსების, სტაჟირების ან სხვა სახით.

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ფოკუსირებული უნდა იყოს იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსების შინაარსი.

IV.4. სტუდენტის სამეცნიერო /კვლევითი უნარების განვითარება

ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია ორიენტირებული უნდა იყოს კვლევაზე, რომელსაც წინ უძღვის კვლევითი კომპეტენციის განმავითარებელი კურსები.

კვლევითი კომპონენტი გამჭოლად უნდა გასდევდეს პროგრამას. მისი თანმიმდევრული განხორციელებით უნდა მიიღწეოდეს სტუდენტებში კვლევითი უნარების განვითარება, რაც პროგრამის დასკვნით ეტაპზე სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომით (სამაგისტრო ნაშრომით) დადასტურდება.

პროგრამაში კვლევითი კომპონენტი ისე უნდა იყოს სტრუქტურირებული, რომ უზრუნველყოფდეს სტუდენტის მომზადებას დასკვნითი კვლევითი ნაშრომის დაგეგმვისა და ჩატარებისთვის.

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას წინ უნდა უძღოდეს კვლევითი უნარების განმავითარებელი თეორიული და პრაქტიკული კურსები, რომლებიც ლექსიკოგრაფიის სფეროს შესაბამისი კვლევის მეთოდების შესწავლასა და კვლევითი ინტერესების ჩამოყალიბებაში დაეხმარება სტუდენტებს.

სამაგისტრო ნაშრომის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული უნდა იქნეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი, რომელიც დეტალურად უნდა აღწერდეს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის, შეფასების პროცედურებსა და შეფასების კრიტერიუმებს. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესში გათვალისწინებული უნდა იყოს ეტაპობრივი და თანმიმდევრული პროცესები, რაც გულისხმობს კვლევითი პროცესების სისტემატიზაციას, მათ შორის, ხელმძღვანელის მხრიდან კვლევის მიმდინარეობაზე პერიოდული ზედამხედველობისა და სტუდენტისთვის უკუკავშირის მიწოდების პროცედურებს.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, როგორც წესი, საშუალება უნდა ჰქონდეს დაესწროს სამაგისტრო ნაშრომის დაცვას და ჩაერთოს მის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში. ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში, შესაძლებელია, შედიოდნენ როგორც პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე - შესაბამისი კვალიფიკაციისა და/ან პროფესიული გამოცდილების მქონე გარე სპეციალისტები.

V. დამატებითი ინფორმაცია

5.1. აკადემიური პერსონალი

ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას შესაძლებელია უზრუნველყოფდეს როგორც შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, ასევე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებასა და სტუდენტებისთვის პროგრამის სწავლის შედეგებით გათვალისწინებული იმ საკვანძო უნარების, ცოდნისა და კომპეტენციების შექმნა/გამომუშავებას, რომლებიც კურსდამთავრებულს, სწავლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, გაუმარტივებს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე დასაქმებას.

5.2. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

უსდ-ში უნდა არსებობდეს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ლექსიკოგრაფიის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამებში გაწერილი როგორც სწავლისა და კვლევისათვის აუცილებელი გარემოსა და პირობების შექმნა, ასევე დეკლარირებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევა კონკრეტული დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კერძოდ:

- თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ფართი და ინვენტარი;
- სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა და საკომუნიკაციო სისტემები;
- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო და მუდმივად განახლებადი ბიბლიოთეკა, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, ონლაინ ლექსიკონები, ელექტრონული კორპუსები და სხვა ონლაინ რესურსები, ასევე სასწავლო კურსების პროგრამებით გათვალისწინებული სხვა პროგრამული ინსტრუმენტები და სხვა;

- ლექსიკონის რედაქტირების სისტემები (DWS, Dictionary writing systems) და სხვ.

V.3. ინტერნაციონალიზაცია

საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში წარმატებული ინტეგრაციის, ინტერნაციონალიზაციისა და განათლების ხარისხის მუდმივი განვითარების მიზნით, ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით განსახორციელებლად სასურველია:

- ადგილობრივი და საერთაშორისო შეხვედრების, კონფერენციების, სემინარების, სეზონური სკოლების, ვორკშოპების, სამუშაო შეხვედრების, კონგრესების, სიმპოზიუმებისა და სხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება და აღნიშნულ ღონისძიებებში სტუდენტთა აქტიური ჩართულობა;
- ადგილობრივ და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა;
- საგრანტო რესურსების მოძიება;
- კვლევების ინტერნაციონალიზაცია და სამეცნიერო წარმადობა.

V.4. დასაქმების სფეროები

პროგრამის კურსდამთავრებული შესაძლოა დასაქმდეს:

- ლექსიკოგრაფიული პროფილის სამეცნიერო დაწესებულებებში;
- როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, სადაც არის ტერმინოლოგიური და მთარგმნელობითი მუშაობის საჭიროება;
- ბეჭდური და ელექტრონული გამომცემლობების სფეროებში;
- ბეჭდური და ელექტრონული ჟურნალისტიკის სფეროში;
- სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში
- და სხვ.

VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

6.1. ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	ნინო ქიმერიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გერმანული ფილოლოგიის მიმართულებით; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი;
2.	თამარ შიოშვილი	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
3.	ნინო მატარაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ანგლისტიკა-ამერიკანისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
4.	მანანა რუსიეშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი; ინგლისური ფილოლოგიის კათედრის გამგე; ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო

			პროგრამის ხელმძღვანელი, ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი; ინგლისური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ;
5.	თეონა ბერიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გერმანული ენის მიმართულებით
6.	ლევან ცაგარელი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	გერმანული ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი
7.	ეკატერინე გაჩეჩილაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი, ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
8.	ქეთო გალობერი	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ფრანგული ფილოლოგიის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი
9.	მაკა კაჭარავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და ევროპული ენებისა და ლიტერატურის რუსული ფილოლოგიის მოდულის ხელმძღვანელი, ჰუმანიტარულ

			მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აკრედიტაციის საბჭოს წევრი
10 .	მარინე აროშიძე	სსიპ - ბათუმის შოთარუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ევროპეისტიკის დეპარტამენტის პროფესორი, სლავისტიკის მიმართულებით, 3 საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
11 .	მამუკა ბუცხრიკიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ებრაისტიკისა და ებრაული ფილოლოგიის მიმართულებით
12 .	მარინე ჩაჩიბაია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრის გამგე
13 .	ელისაბედ ბჟალავა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული დასამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ჯგუფისა და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი
14 .	ლილე თანდილავა	სსიპ - ბათუმის შოთარუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი თურქოლოგიის მიმართულებით და თურქული

			ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
15	მარინე ალექსიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი- საბჭოს წევრი
16	მარინე გიორგაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ევროპეისტიკის დეპარტამენტის პროფესორი-კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინოლოგიის მიმართულებით; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი; სამი საგანმანათლებლო პროგრამის (თარგმანმცოდნეობის საბაკალავრო, ევროპეისტიკის სამაგისტრო, ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო) თანახელმძღვანელი; ბიზანტინისტა, პატრისტიკის, შედარებითი ლიტერატურისა და ფრანგული რენესანსის-საერთაშორისო ასოციაციების საქართველოს წარმომადგენლობის წევრი

17	ანა ჩიქოვანი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი
18	ირინე დარჩია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო, ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო და ევროპული ლიტერატურის ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტი
19	ალექსანდრე ჭულუხაძე	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
20	თამარ მოსიაშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწე (უცხოურ სამეცნიერო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიმართულებით)
21	დარეჯან გარდავაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის

			სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არაბისტიკის კათედრის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
22 .	ნანა მაჭავარიანი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ამავე ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
23 .	კახაბერ ლორია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, სკანდინავისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი, სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სკანდინავიური ფილოლოგიის ქვედარგის ხელმძღვანელი
24 .	მარინე კობეშავიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; დასავლეთეუროპული

			ფილოლოგიის მიმართულებით (რომანული ფილოლოგია - ესპანური ენა); ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
25	მაია ჯავახიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დასავლეთევროპული ფილოლოგიის მიმართულებით (რომანული ფილოლოგია-იტალიური ენა)
26	ლევან გიგინეიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი
27	ნათია ჩანტლაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არმენოლოგიის კათედრის გამგე; არმენოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი; ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამაგისტრო (შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია//სომხური ფილოლოგია) და სადოქტორო (ფილოლოგია//სომხური ფილოლოგია) პროგრამებში არმენოლოგიის მოდულის ხელმძღვანელი)

28 .	თათია მემარნიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ენების შემსწავლელი ცენტრის იაპონური ენის მასწავლებელი
29 .	ანა გოგუაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ენების შემსწავლელი ცენტრის ჩინური ენის მასწავლებელი
30 .	მერაბ ჩუხუა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
31 .	ლელა ებრალიძე	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასისტენტ პროფესორი
32 .	ხათუნა ბერიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ევროპეისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ინგლისური ენის მიმართულებით, ევროპეისტიკის სამაგისტრო პროგრამის მთარგმნელობითი მოდულის ხელმძღვანელი, თარგმანისა და ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი.
33 .	თეა ფეტელავა	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ასოცირებული პროფესორი

34	ქეთევან ტიბუა	გოეთეს ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში	განათლების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის განყოფილების კოორდინატორი
----	---------------	---	---

6.2. გარე ინიცირების ფარგლებში დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	ბერიძე მარინა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი; სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	განყოფილების ხელმძღვანელი, უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი; სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ზედამხედველობის სამსახურის უფროსი
2	დარასელია სოფიკო	ლიდზის უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, პოსტ-დოქტორანტი
3	დარჩია ირინე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ერაზმუს პლუსის ეროვნული ოფისი	ასოცირებული პროფესორი; უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტი
4	დობორჯგინიძე ნინო	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორი, ლინგვისტური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი
5	ლობჯანიძე ირინა	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი ენათმეცნიერების მიმართულებით
6	ლოლაძე ნანა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი; შუფასებისა და	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის უფროსი

		გამოცდების ეროვნული ცენტრი	
7	მარგალიტაძე თინათინი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი ლექსიკოგრაფიის მიმართულებით, „ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის“ დირექტორი
8	მახაროზლიძე თამარი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი ენათმეცნიერების მიმართულებით
9	მელაძე გიორგი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, „ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის“ უფროსი რედაქტორი
10	ქიმერიძე ნინო	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი, განათლებისა და პროგრამული აკრედიტაციის ექსპერტი
11	ჩიქოვანი ანა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი
12	ჩუხუა მერაბი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი; სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	პროფესორი, ლექსიკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი; ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე

დანართი N2

ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
უმაღლესი განათლების I და II საფეხურები
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები

I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს აკადემიური განათლების სტანდარტს, რომელშიც განსაზღვრულია ენის დაუფლების სფეროს დარგობრივი მახასიათებლები, ასახულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონის შესაბამისი სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები და მათ მისაღწევად საჭირო სწავლა-სწავლების, შეფასების მეთოდები და სხვა არსებითი მახასიათებლები. დოკუმენტში ასევე ჩამოყალიბებულია ყველა ის მინიმალური კომპეტენცია, რომლებიც მოეთხოვება ფილოლოგიის, ქვეყნის/რეგიონის ენობრივ-ისტორიულ-კულტურული ასპექტებით შემსწავლელი დარგების (დეტალური სფეროს მითითებით) ბაკალავრსა და მაგისტრს, ასევე თარგმანმცოდნეობის მაგისტრს. კერძოდ, ცოდნის, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის იმ კონკრეტულ სპექტრს, რომელიც ექნება საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულს. ენის დაუფლების სფეროს დარგობრივი მახასიათებელი შეიძლება გავრცელდეს იმ საგანმანათლებლო პროგრამაზეც, რომლის სწავლებისა და კვლევის ერთ-ერთ მიზანს ენის/ენების დაუფლება წარმოადგენს.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადაა 7 წელი.

დარგობრივი მახასიათებელი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ენის დაუფლების სფეროში შემავალი კვალიფიკაციის მე-6 და მე-7 დონის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, განვითარებას, სფეროს ფარგლებში მართებულ ორიენტირებას, მისანიჭებელ კვალიფიკაციათა საერთაშორისო დონეზე აღიარების, სტუდენტთა მობილობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი რეკომენდებულია:

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- აბიტურიენტთათვის, რომლებიც არჩევენს აკეთებენ იმ დარგთა შორის, რომლებსაც მოიცავს ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებელი;
- სტუდენტთათვის, რომლებიც უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მე-6 ან მე-7 დონეზე ეუფლებიან ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს იმ დარგებში, რომლებსაც ფარავს ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებელი;

- უცხოელ სტუდენტთათვის, რომელთაც გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში განზრახული აქვთ, სწავლა განაგრძონ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებსაც ფარავს ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებელი;
- დამსაქმებელთათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებით;
- განათლების სფეროს ექსპერტთათვის, რომლებსაც პერიოდულად ევალებათ იმ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, მონიტორინგი ან აკრედიტაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა, რომლებსაც მოიცავს ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებელი;
- აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და აპელაციის საბჭოს წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი შედგება მინიმალური მოთხოვნებისა და დებულებებისგან, რომელთა დაცვისა და შესრულების ვალდებულება აქვს ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც ხორციელდება ან დაგეგმილია, განხორციელდეს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-6 და/ან მე-7 დონის საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთაც მოიცავს ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებელი. ამასთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედი საბაკალავრო და/ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსსა და ფორმას, ასევე სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, განსაზღვრავს საკუთრივ ინსტიტუცია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და მის ფარგლებში განსაზღვრული ცალკეული რეგულაციების შესაბამისად.

დარგობრივი მახასიათებელი აღწერს უცხოური ენის/ენების დაუფლებაზე დაფუძნებულ ფილოლოგიურ, ქვეყნის/რეგიონის ენობრივ-ისტორიულ-კულტურული ასპექტებით შემსწავლელ, ლექსიკოგრაფიულ, თარგმანმცოდნეობით და სხვა სფეროებთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდებსა და სხვა არსებით ინფორმაციას, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ზემოხსენებულ დარგებში შემუშავებული საბაკალავრო და/ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის მონიტორინგი დარგობრივ მახასიათებელთან შესაძლებელია განხორციელდეს პერიოდულად ან მიზნობრივად აკრედიტაციის მოქმედი სტანდარტებისა და შესაბამისი პროცედურების საფუძველზე.

ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებისა და განახლების საფუძველია წინამდებარე დოკუმენტის ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და დასაქმების ბაზრის არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

II. სწავლის სფეროს აღწერა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, განახორციელოს სხვადასხვა პროფილის, ანუ სხვადასხვა სტრუქტურის, მიზნებისა და შინაარსის ენის დაუფლების საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები.

ენის დაუფლების საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების პროფილი დამოკიდებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და/ან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მისიაზე, ადამიანურ და მატერიალურ რესურსზე, შესაბამისი დაწესებულების და/ან სტრუქტურული ერთეულის ტრადიციასა და განვითარების სამომავლო ხედვაზე, არსებულ და/ან დაგეგმილ საერთაშორისო თანამშრომლობაზე, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და სხვა ფაქტორებზე. ენის დაუფლების სფერო მოიცავს ენის შესწავლა-ფლობასთან ასოცირებულ რამდენიმე დარგობრივ მიმართულებას. მათ შორისაა: ფილოლოგია, ქვეყნის/რეგიონის ენობრივ-ისტორიულ-კულტურული ასპექტებით შემსწავლელი დარგები, თარგმანმცოდნეობა და სხვა. ცალკეული დარგი, თავის მხრივ, ინტერდისციპლინური და/ან მულტიდისციპლინურია და ემყარება დისციპლინათა და კულტურათაშორის სწავლებასა და კვლევას. ზემოხსენებული დარგები:

- ოპერირებენ ენობრივი პროდუქტის - ტექსტის მეშვეობით;
- ადგენენ და იცავენ ენობრივ-საკომუნიკაციო წესებსა და მათი გამოყენების პირობებს;
- აკვირდებიან ენობრივ და სოციალურ მოვლენებს დიაქრონიასა და სინქრონიასში;
- იკვლევენ და ადარებენ სოციალურ და კულტურის მოვლენებს განსხვავებულ ენობრივ სივრცეებში.

სწავლის სფეროში შემავალი დარგების/დისციპლინათა კომპოზიცია მრავალფეროვანია. სწავლის სფეროს მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, ერთი მხრივ, სამიზნე ენის/ენების პრაქტიკული სწავლება, რომელიც სფეროს საერთო საბაზისო კომპეტენციაა (შესასწავლი ერთი ან რამდენიმე უცხოური ენა); სწავლის სფერო მოიცავს როგორც თანამედროვე, ისე კლასიკურ და სხვა ძველ ენებს, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტულ შესასწავლ ენასთან/ენებთან დაკავშირებული თეორიული ცოდნის დაგროვებას.

ზემოთ ჩამოთვლილ დარგებში, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება განისაზღვროს შემდეგი დარგობრივი კომპეტენციები (შერჩევით): საენათმეცნიერო, ლიტერატურათმცოდნეობითი, მთარგმნელობითი, სოციალურ-პოლიტიკური, ისტორიულ-კულტურული, კულტურ-ტრანსფერული, ტექნოლოგიური და სხვა. დარგობრივი კომპეტენციების შერჩევა დამოკიდებულია პროგრამის პროფილსა და მიზნებზე.

ფილოლოგიური და ქვეყნის/რეგიონის ენობრივ-კულტურულ-ისტორიული ასპექტებით შემსწავლელი დარგების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ხორციელდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონეებზე, ხოლო თარგმანმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამის - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეზე.

ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით (28.07.2022) იტალიური ფილოლოგიისა და ესპანური ფილოლოგიის სწავლის სფეროების დასახელება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

- 0231.1.7 ესპანური ფილოლოგია/ესპანისტიკა /Spanish Philology/ Spanish Studies;
- 0231.1.8 იტალიური ფილოლოგია/იტალიანისტიკა/ Italian Philology/ Italian Studies.

წარმოდგენილი ცვლილება გულისხმობს ესპანური ფილოლოგიისა და იტალიური ფილოლოგიის პროგრამებში ფილოლოგიური პროფილის გაფართოებას ამ ენების გავრცელების რეგიონის ისტორიულ-კულტურული ასპექტებით.

შესაბამისად საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში შემუშავდა ესპანისტიკისა და იტალიანისტიკის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა ფარგლებშიც შემსწავლელს შეუძლია გაეცნოს როგორც ქვეყნის ენობრივ, ისე ისტორიულ და კულტურულ ასპექტებს.

ვიწრო/დეტალური სფეროს აკადემიური ხარისხი ტოლფასია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონეზე (ენის/ენების მითითებით) ფილოლოგიის ან ქვეყნის/რეგიონის ენობრივ-კულტურულ-ისტორიული ასპექტებით შემსწავლელი დარგების ბაკალავრისა, მე-7 დონეზე (ენის/ენების მითითებით) ფილოლოგიის, ან ქვეყნის/რეგიონის ენობრივ-კულტურულ- ისტორიული ასპექტებით შემსწავლელი დარგების, ან თარგმანმცოდნეობის, ან სხვა მიმართულების მაგისტრისა.

ზემოხსენებულ დარგებში კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონეებზე საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (შესაძლო დამატებითი პირობები გაიწერება პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ საკუთარი რეგულაციების ფარგლებში).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი ენის დაუფლების როგორც მხოლოდ ერთი, ისე ორივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები.

საქართველოში ამა თუ იმ ენის სწავლებისა და სწავლის ისტორიიდან, ტრადიციიდან, ამჟამინდელი მდგომარეობიდან და განვითარების სამომავლო პერსპექტივიდან გამომდინარე, შესაძლებელია ამა თუ იმ ენის დაუფლება იწყებოდეს არა ბაკალავრიატის, არამედ მაგისტრატურის საფეხურზე.

ენის დაუფლების საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე დაშვების წინაპირობებს განსაზღვრავს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

III. სწავლის შედეგები

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ საგანმანათლებლო პროგრამებში უნდა შეჯერდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორში გაწერილი მიმართულებების ფარგლებში გააზრებული ენის/ენების შესწავლის პრაქტიკული და დარგობრივ-თეორიული ასპექტები, რომელთა საფუძველზე მიიღწევა სწავლის შედეგების მინიმალური საორიენტაციო მოთხოვნები. დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულია მინიმალური სწავლის შედეგების შესაძლო

სპექტრი. კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შერჩევა/ფორმირება ხდება ენის დაუფლების საგანმანათლებლო პროგრამის პროფილისა და მიზნების გათვალისწინებით. ამასთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებამ საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის უახლესი მიღწევების/გამოცდილების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე უცხოელ პარტნიორთა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკომენდაციის საფუძველზე, ბაზრის მოთხოვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის დამატებითი შედეგების განსაზღვრის თაობაზე. სწავლის ესა თუ ის შედეგი შესაძლებელია მიღწეულ იქნეს როგორც ცალკეული, ისე სხვადასხვა საგანმანათლებლო (სასწავლო და/ან კვლევითი) კომპონენტის კომბინირებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოაყალიბოს სამ კატეგორიად (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) დაყოფის გარეშე. დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეიძლება აისახოს როგორც პროგრამის, ისე მისი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სწავლის შედეგებში.

3.1. ბაკალავრიატი

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს აქვს:

სამიზნე ენასთან/ენებთან, შესაბამის კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებული ფართო ცოდნა, რომელიც შესაძლებელია მოიცავდეს ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის, ხელოვნების, ფილოსოფიის, რელიგიის და სხვა ასპექტებს; ერთი ან მეტი უცხოური ენის დაუფლებას ელემენტარული მომხმარებლიდან კომპეტენტურ მომხმარებლამდე (ცოდნის დონე დამოკიდებულია სამიზნე ენის/ენების სპეციფიკასა და პროგრამის პროფილზე).

ფილოლოგიური პროფილის პროგრამა მოიცავს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ასპექტებს; ასევე, შესაძლებელია, მოიცავდეს თარგმანმცოდნეობასა და სხვა დეტალურ სფეროებთან დაკავშირებულ საკითხებს.

ხოლო ქვეყნის/რეგიონის ისტორიულ-კულტურული ასპექტებით შემსწავლელი პროგრამა შესაძლებელია მოიცავდეს - პოლიტიკის, ეკონომიკის, გეოგრაფიის, მედიის, სოციოლოგიის, ლინგვოკულტუროლოგიის, ანთროპოლოგიის და სხვ. ასპექტებს.

ენის დაუფლების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს სამიზნე ენასთან/ენებთან, მათ ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, თეორიებს, პრინციპებსა და უახლეს პრობლემატიკას.

ენის დაუფლების დონე, ისევე როგორც სწავლის შედეგების ჩამონათვალი დამოკიდებულია პროგრამის პროფილსა და მიზნებზე.

უნარი

კურსდამთავრებული:

- იყენებს სამიზნე ენას/ენებს როგორც წერიითი, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს, სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისთვის (ენის/ენების გამოყენების დონე დამოკიდებულია პროგრამის პროფილსა და მასზე სტუდენტების მიღების წინაპირობებზე);
- კულტურათშორისი კომუნიკაციისას იყენებს ენობრივი შუამავლობის უნარს და კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხს;
- ახორციელებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, პროგრამის პროფილის გათვალისწინებით;
- მოიძიებს და იყენებს ქართულ და/ან სამიზნე ენაზე/ენებზე არსებულ წერილობით, ზეპირ და სხვა სახის წყაროებს, შესაბამის მულტიმედიურ და საბიბლიოთეკო რესურსებს;
- აანალიზებს სამიზნე ენასთან/ენებთან, მათ ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს დარგის ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით;
- განსაზღვრავს და განასხვავებს სხვადასხვა კულტურას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს, ქვეყნებს შორის ისტორიულ-კულტურულ და თანამედროვე მიმართებებს;
- სამიზნე აუდიტორიასთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და კომუნიკაციების ტექნოლოგიებს;
- მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ქართულ და/ან სამიზნე ენაზე/ენებზე.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

კურსდამთავრებული:

- აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს;

- ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს;
- ავლენს ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად), მათ შორის ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროისა და შრომის ორგანიზების უნარს.

3.2. მაგისტრატურა

ცოდნა და გაცნობიერება

მაგისტრატურის საფეხურზე ენის დაუფლების საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს აძლევს საშუალებას, მომზადდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, შეიცვალოს სპეციალობა, აიმაღლოს კვალიფიკაცია.

მაგისტრატურის საფეხურზე ენის დაუფლების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

- ავლენს სამიზნე ენასთან/ენებთან, შესაბამის კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ენობრივ/ენათმეცნიერულ/ლიტერატურათმცოდნეობით/თარგმანმცოდნეობით/ლექსიკოგრაფიულ/ისტორიულ-კულტურულ/საზოგადოებრივ პოლიტიკურ/კორპუსულ/ეთნოფსიქოლინგვისტურ და სხვ. კომპეტენციებს;
- განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს სამიზნე ენის/ენების შესაბამის ენობრივ/ენათმეცნიერულ/ლიტერატურათმცოდნეობით/თარგმანმცოდნეობით/ლექსიკოგრაფიულ/ისტორიულ/კულტურულ/კორპუსულ/საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სხვ. საკითხებთან დაკავშირებულ საკვანძო და აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს.

ენის დაუფლების დონე, ისევე როგორც სწავლის შედეგების ჩამონათვალი, დამოკიდებულია პროგრამის პროფილსა და მიზნებზე.

უნარი

კურსდამთავრებული:

- იყენებს სამიზნე ენას/ენებს როგორც წერიით, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს, სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისთვის (ენის/ენების გამოყენების დონე დამოკიდებულია პროგრამის პროფილსა და მასზე სტუდენტების მიღების წინაპირობებზე);
- კრიტიკულად გაიაზრებს და აანალიზებს სამიზნე ენასთან/ენებთან, მათ ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და უახლეს მიღწევებს;
- სწავლის, კვლევისა და საქმიანობის პროცესში ანალიზებს ინფორმაციას/ტექსტს/მასალას, ახდენს მის სინთეზს, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას სხვადასხვა პერსპექტივით/პერსპექტივიდან;
- ავლენს პრობლემის გადაჭრის, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, ეფექტიანი კომუნიკაციის, პრეზენტაციისა და ინტერაქციის უნარებს შესაბამისი გარემოს, კულტურათმორისი განსხვავებების და კულტურათა თავისებურებების გათვალისწინებით;
- ავითარებს ინოვაციურ მიდგომებს, ახალ და ორიგინალურ იდეებს, რომლებსაც აყალიბებს საკვალიფიკაციო ნაშრომში/პროექტში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და წარუდგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს, რითიც წვლილი შეაქვს სფეროს/დეტალური სფეროს დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში;
- ავლენს ნაცნობ და უცნობ სასწავლო და სამუშაო გარემოში, სტრესულ ვითარებაში ფიქრის, მსჯელობისა და წერის, სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს;
- ეყრდნობა დემოკრატიულ პრინციპებსა და ღირებულებებს; აღიარებს კულტურათმორისი განსხვავებებისა და კულტურათა მრავალფეროვნების მნიშვნელობას; ამჟღავნებს ტოლერანტობას განსხვავებული აზრის, კულტურებისა და კონფესიების მიმართ.

IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

უცხოური ენის/ენების დაუფლების საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის, სწავლებისა და შეფასების საკითხები კულტურით მარკირებული თემებია, რომელთა მიმართ მიდგომა არა მარტო სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ ერთი ქვეყნის უმადლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც კი შესაძლოა არსებითად განსხვავებულ ნიშან-თვისებებს ატარებდეს.

წინამდებარე სტანდარტის ფარგლებში, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილია სწავლის, სწავლებისა და შეფასების ის მეთოდები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს უცხოური ენის/ენების დაუფლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში. სწავლის, სწავლებისა და შეფასების კონკრეტული მეთოდების შერჩევა და საგანმანათლებლო პროგრამაში მათი გამოყენება ხდება სამიზნე ენის/ენების, სწავლების საფეხურის, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის, პროგრამის პროფილისა და მიზნების, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების გამოცდილებისა და ტრადიციის გათვალისწინებით. უცხოური ენის/ენების დაუფლების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც აღნიშნული ჩამონათვალიდან შერჩეული ესა თუ ის, ისე სხვა მეთოდები.

თუ საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტი საბაზისო ფართო ცოდნას იღებს, სამაგისტრო საფეხური გულისხმობს კვლევაზე დაფუძნებულ ღრმა და სისტემურ, ინტენსიურ სასწავლო პროცესს, რაც სტუდენტს უვითარებს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარს და ეს უნდა აისახოს სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდებში. შეფასება, როგორც წესი, მრავალკომპონენტური და მიღწევადია კონკრეტული, გაზომვადი კრიტერიუმების საფუძველზე.

სწავლა-სწავლების პროცესს უშუალოდ უკავშირდება შეფასება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების ხარისხისა და საბოლოოდ, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე შედეგების დადგენა.

4.1. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

უცხოური ენის/ენების დაუფლების საგანმანათლებლო პროგრამებში, ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ქვემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალიდან შერჩეული სწავლისა და სწავლების მეთოდები:

- ლექცია;
- სემინარი/სამუშაო ჯგუფი;
- დამოუკიდებელი მუშაობა;
- კვლევითი სემინარი;
- პრაქტიკუმი/პრაქტიკული მეცადინეობა;
- ვორკშოპი (პრაქტიკული მუშაობა);
- ლაბორატორიული სამუშაო;

- სასწავლო/პროფესიული პრაქტიკა;
- ტუტორიალი;
- ჯგუფური ან ინდივიდუალური კონსულტაცია;
- სწავლება საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით;
- წყვილში ან გუნდური მუშაობა;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- თანამშრომლობითი სწავლა;
- გონებრივი იერიში;
- შემთხვევის ანალიზი;
- სტუდენტის მიერ მასალის დამოუკიდებლად დამუშავება და აზრების გადმოცემა/მსჯელობა შესაბამის თემაზე;
- ჯგუფური დისკუსია წინასწარ მომზადებულ თემაზე;
- ურთიერთშეფასება;
- ტექსტების, დოკუმენტებისა და სხვა სასწავლო მასალის ან მათი ამონარიდების კომენტირება მათი კონტექსტუალიზაციის, ინტერპრეტაციის ან ანალიზის მიზნით;
- განსაზღვრულ თემაზე ინფორმაციის მოძიება, შერჩევა და შეფასება, მაგალითად, საბიბლიოთეკო რესურსების, დარგობრივი ბიბლიოგრაფიების (მათ შორის ონლაინ-ბაზების) გამოყენებით;
- ბეჭდურ, ციფრულ ან/და სხვა ფორმატში წარმოდგენილი სხვადასხვა პირველადი ტექსტის, დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალის უშუალო შესწავლა/კრიტიკული წაკითხვა (გააზრება);
- მოძიებული ინფორმაციისა და განხორციელებული ინტერპრეტაციის პრეზენტაცია ზეპირად და წერილობით (ესეები, ანგარიშები...), მათ შორის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით;
- დისკუსია და დებატები;
- შემოქმედებითი წერა;
- ჯგუფური და/ან ინდივიდუალური კვლევითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება ხელმძღვანელის მეთვალყურეობით ან დამოუკიდებლად;
- მოზაიკა;
- სტაჟირება;
- შესაბამისი ციფრული ინსტრუმენტების, პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება;
- ტექნოლოგიების გამოყენებით თარგმანის შესრულება;
- ორენოვანი და სხვა სახის ლექსიკონებით სწავლება; ვირტუალური სასწავლო გარემოს გამოყენება;
- აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენება;
- გრაფიკული ორგანიზატორები;
- ვიზიტი სხვადასხვა პროფილის მუზეუმში;
- შესაბამისი ისტორიულ-კულტურული ძეგლის დათვალიერება/მონახულება;
- ენის/ენების სწავლება მცირერიცხოვან ჯგუფებში;
- კურიკულუმს მიღმა აქტივობები;
- მოწვეული მომხსენებელი;
- შებრუნებული გაკვეთილი;
- აქტიური სწავლა;

- შერეული სწავლა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა;
- პროექტზე დაფუძნებული სწავლა;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება;
- და სხვ.

4.2. შეფასების მეთოდები

სწავლა-სწავლების პროცესის ლოგიკური საფინალო ფაზაა შეფასება, როგორც სწავლების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, განმავითარებელი, განმსაზღვრელი და შემაჯამებელი ეტაპი. უცხოური ენის/ენების დაუფლების საგანმანათლებლო პროგრამები, გამომდინარე მათი მულტიდისციპლინურობიდან, სწავლების პროცესში იყენებს შეფასების მრავალფეროვან ფორმებს.

უცხოური ენის/ენების დაუფლების საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის გეგმით/სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (შუალედური და დასკვნითი შეფასება) შესაძლებელია მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს:

- ზეპირი გამოცდა;
- წერიტი გამოცდა;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერიტი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება;
- ტესტი ღია და დახურული კითხვებით;
- ტესტირება ონლაინ, კომპიუტერული ტესტირება;
- ქვიზი;
- გადაშლილი წიგნის პრინციპი;
- ესე;
- რეფერატი/საშინაო ნაშრომი;
- თარგმანი;
- პრეზენტაცია;
- ანგარიში;
- ლინგვისტური კომენტარები;
- საკვალიფიკაციო ნაშრომი/პროექტი;
- პორტფოლიო;
- ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტი;
- პრაქტიკის დღიური/ანგარიში;
- თვითშეფასება;
- და სხვ.

V. დამატებითი ინფორმაცია

5.1. აკადემიური პერსონალი

ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება შესაძლოა უზრუნველყოს როგორც შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიურმა პერსონალმა, ასევე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეულმა სპეციალისტებმა. აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა უნდა უზრუნველყოს ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მე-6 და მე-7 დონის დარგობრივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და მათი მდგრადი, მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული და შედეგიანი ფუნქციონირება, ხოლო სტუდენტებისათვის ენის დაუფლების სფეროს დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული იმ საკვანძო უნარების, ცოდნისა და კომპეტენციების შექმნა/გამომუშავება, რომლებიც კურსდამთავრებულს, სწავლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, გაუმარტივებს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე დასაქმებას; დამსაქმებელს კი საშუალებას მისცემს, შეარჩიოს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრი პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორით (ISCO-08) გათვალისწინებული მახასიათებლის ფარგლებში.

5.2. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

განათლების საერთაშორისო აკადემიური სტანდარტის შესაბამისად, უსდ-ში უნდა არსებობდეს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს უცხოური ენის/ენების დაუფლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამებში გაწერილი როგორც სწავლისა და კვლევისათვის აუცილებელი გარემოსა და პირობების შექმნა, ასევე დეკლარირებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევა კონკრეტული დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კერძოდ:

- თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ფართი და ინვენტარი;
- სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა და საკომუნიკაციო სისტემები;
- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო და მუდმივად განახლებადი ბიბლიოთეკა, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები;
- შესაბამისი სასწავლო მულტიმედიური მასალები;

- სხვა/დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევების სათანადოდ განხორციელებას, ასევე სწავლა-სწავლების, კულტურათაშორისი ცნობიერების, თავდაჯერებულობის და სხვა ტრანსფერული უნარების განვითარებას;
- ასევე სასურველია, ეტაპობრივად შეივსოს უცხოური ენების სწავლა-სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებული ფილოლოგიურ, ქვეყნის/რეგიონის ენობრივ-ისტორიულ-კულტურული ასპექტებით შემსწავლელ, ლექსიკოგრაფიულ, თარგმანმცოდნეობითა და სხვა სფეროებში, ვირტუალური სასწავლო გარემოსთვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებული ციფრული პროგრამები და დაინერგოს/განვითარდეს /დაიხვეწოს მათი გამოყენება.

5.3. ინტერნაციონალიზაცია

საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში წარმატებული ინტეგრაციის, ინტერნაციონალიზაციისა და განათლების ხარისხის მუდმივი განვითარების მიზნით, უცხოური ენის/ენების დაუფლების მიმართულებით საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით განსახორციელებლად სასურველია:

- ადგილობრივი და საერთაშორისო შეხვედრების, კონფერენციების, სემინარების, სეზონური სკოლების, ვორკშოპების, სამუშაო შეხვედრების, კონგრესების, სიმპოზიუმებისა და სხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება და აღნიშნულ ღონისძიებებში სტუდენტთა აქტიური ჩართულობა;
- კონკრეტულ საგანმანათლებლო დონეზე პროფესიული მიზნებისთვის რესურსების კონსოლიდაცია, დამატებითი ლექციების, კურსების, შეხვედრებისა და კონსულტაციების ჩატარება;
- კურიკულუმს მიღმა აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება;
- უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა;
- საგრანტო რესურსების მოძიება;
- კვლევების ინტერნაციონალიზაცია და სამეცნიერო წარმატობა;
- სტუდენტთა პრაქტიკა/სტაჟირების ორგანიზება როგორც ადგილობრივ საჯარო, კერძო, სამთავრობო და არასამთავრობო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- ადგილობრივ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კავშირების ჩამოყალიბება;
- დარგობრივი მახასიათებლის ზოგადი სტანდარტი, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გახდეს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და პროფესიული სასწავლებლის თანამშრომლობის ფარგლებში.

5.4. შრომის ბაზრის ადგილობრივი და საერთაშორისო მოთხოვნები

შრომის ბაზრის გლობალიზაციის ფარგლებში, საერთაშორისო მიგრაციისა და/ან დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სასურველია:

- პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO-08) გაცნობა.*
- შრომის ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან უწყვეტი კომუნიკაცია და დამატებით შემუშავებული სტანდარტების, შეხედულებებისა და სიახლეების პროგრამაში ინტეგრირება/დანერგვა.

* ხელმისაწვდომია: <https://eqe.ge/res/docs/ISCO-08-Final-final.pdf>

დასაქმების შესაძლო სფეროები:

- ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუციები;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ასოციაციები/კავშირები/ საზოგადოებები;
- სამეცნიერო, კვლევითი და საგანმანათლებლო ცენტრები;
- სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები;
- სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო შეზღუდვების გათვალისწინებით);
- საბიბლიოთეკო ქსელი (ეროვნული, სამეცნიერო, სასწავლო, მასობრივი (საჯარო), საბავშვო, სასკოლო, ციფრული და სპეციალიზებული ბიბლიოთეკები და სხვა);
- რედაქციები და გამომცემლობები;
- პროფესიული გაერთიანებები;
- დიპლომატიური წარმომადგენლობები;
- სახელმწიფო/კერძო რადიო და სატელევიზიო არხები და მედია ცენტრები;
- საინფორმაციო და ტურისტული სააგენტოები;
- ტურიზმის სფერო;
- კულტურისა და ხელოვნების ერთეულები/დაწესებულებები (სახელმწიფო და კერძო) /თეატრები, მუსიკალური და შემოქმედებითი ცენტრები/მუზეუმები/ არქივები და სხვ.).

VI. დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა

1.	ნინო ქიმერიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გერმანული ფილოლოგიის მიმართულებით; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი;
2.	ნიკოლოზ ფარჯანაძე	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ინგლისური ფილოლოგიის პროფესორი, კვლევითი პროექტებისა და ინოვაციების სამსახურის ხელმძღვანელი
3.	ნინო მატარაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ანგლისტიკა-ამერიკანისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
4.	მანანა რუსიეშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი; ინგლისური ფილოლოგიის კათედრის გამგე; ინგლისური ილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი; ინგლისური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;
5.	თეონა ბერიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გერმანული ენის მიმართულებით
6.	ლევან ცაგარელი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	გერმანული ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და

			ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი
7.	ეკატერინე გაჩეჩილაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი, ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
8.	ქეთო გალობერი	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ფრანგული ფილოლოგიის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი
9.	მაკა კაჭარავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და ევროპული ენებისა და ლიტერატურის რუსული ფილოლოგიის მოდულის ხელმძღვანელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აკრედიტაციის საბჭოს წევრი
10.	მარინე აროშიძე	სსიპ - ბათუმის შოთარუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ევროპეისტიკის დეპარტამენტის პროფესორი, სლავისტიკის მიმართულებით, 3 საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
11.	მამუკა ბუცხრიკიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ებრაისტიკისა და ებრაული ფილოლოგიის მიმართულებით
12.	მარინე ჩაჩიბაია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი,

			ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრის გამგე
13.	ელისაბედ ბჟალავა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული დასამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ჯგუფისა და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი
14.	ლილე თანდილავა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი თურქოლოგიის მიმართულებით და თურქული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
15.	დავით გოცირიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი რუსული ფილოლოგიის მიმართულებით
16.	მარინე გიორგაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ევროპეისტიკის დეპარტამენტის პროფესორი-კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინოლოგიის მიმართულებით; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი; სამი საგანმანათლებლო პროგრამის (თარგმანმცოდნეობის საბაკალავრო, ევროპეისტიკის სამაგისტრო, ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო) თანახელმძღვანელი; ბიზანტინისტა, პატრისტიკის, შედარებითი ლიტერატურისა და ფრანგული რენესანსის-საერთაშორისო ასოციაციების საქართველოს წარმომადგენლობის წევრი

17.	ანა ჩიქოვანი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოგრეციტიკის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი
18.	ირინე დარჩია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო, ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო და ევროპული ლიტერატურის ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტი
19.	ალექსანდრე ჭულუხაძე	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
20.	თამარ მოსიაშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწე (უცხოურ სამეცნიერო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიმართულებით)
21.	დარეჯან გარდავაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არაბისტიკის კათედრის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

22.	ნანა მაჭავარიანი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, ამავე ინსტიტუტის სამეცნიეროსაბჭოს წევრი, ამავე ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
23.	კახაბერ ლორია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, სკანდინავისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი, სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სკანდინავიური ფილოლოგიის ქვედარგის ხელმძღვანელი
24.	მარინე კობეშავიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; დასავლეთევროპული ფილოლოგიის მიმართულებით (რომანული ფილოლოგია - ესპანური ენა); ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
25.	მაია ჯავახიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დასავლეთევროპული ფილოლოგიის მიმართულებით (რომანული ფილოლოგია-იტალიური ენა)
26.	ლევან გიგინეიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი

27.	ნათია ჩანტლაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არმენოლოგიის კათედრის გამგე; არმენოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი; ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამაგისტრო (შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია/სომხური ფილოლოგია) და სადოქტორო (ფილოლოგია/სომხური ფილოლოგია) პროგრამებში არმენოლოგიის მოდულის ხელმძღვანელი)
28.	თათია მემარნიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ენების შემსწავლელი ცენტრის იაპონური ენის მასწავლებელი
29.	ანა გოგუაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ენების შემსწავლელი ცენტრის ჩინური ენის მასწავლებელი
30.	მერაბ ჩუხუა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
31.	ლელა ებრალიძე	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასისტენტ პროფესორი
32.	ხათუნა ბერიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ევროპეისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ინგლისური ენის მიმართულებით, ევროპეისტიკის სამაგისტრო პროგრამის მთარგმნელობითი

			მოდულის ხელმძღვანელი, თარგმანისა და ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი.
33.	თეა ფეტელავა	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ასოცირებული პროფესორი
34.	ქეთევან ტიბუა	გოეთე ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში	განათლების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის განყოფილების კოორდინატორი